

# საქართველოს ხელუანი



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბის“ დამატება  
№9, 25 ოქტომბერი, ორშაბათი, 2021 წელი



## ყმანი ვილკაცობისკენ ახლადფეხადგმულ შვილს

„საულვაშეზე გაუჩნდებათ ღინდლი და მალე,  
საიალაღოდ გაინევენ, როგორც ხარები...“  
ბურაბ კუხიანიძე

საიალაღო სურვილებს მალავ  
და ღვინობისთვე გეღვრება მაჭრად...  
ახლა ვიხსენებ პატარა წალამს, -  
შენს სადღეობოდ, პაპამ რომ აჭრა.  
ის ლერწმის ღერო ვაზია უკვე -  
გადაწიდნული მნიუქე მტევნებით,  
იმ უცხო სურნელს საკმეველს უკმევს,  
შენ რომ ჟიუფად აედევნები!..  
ღვინობისთვეა... დგას თავმომწონედ  
და დედამიწის ივსება ვარცლი,  
ქარით აწერილ ქარვის კონტლებს  
მზეს, წვიმა, სველი თითებით ვარცხნის...  
ბევრის მომსწრე და მრავლის მნახველი,  
მაჭარის სისხლივით წამოახველებს, -  
ბერიკაცივით დგას საწნახელი  
და შემოდგომა ისევ ახელებს...  
მზეჩამდგარ მტევნებს ბანივით ბეკნი,  
ჩურჩულით გლოცავს აჩრდილი პაპის,  
შენთვის შექმნილი, ადამის ნეკნით,  
ვიღაც ვარდისფერ მირაჟებს ჩხაპნის...  
საულვაშეზე გიღიმის ღინდლი,  
ჟერ შეუცნობელს გკარნახობს ალდო,  
აწყვეტილ წვივებს სწორებთან იღლი,  
ნავარდი გიხმიბს, საიალაღო!..  
ვიდრე წვეთ-წვეთად ივსება საწდე,  
გამითეთრდება თოვლით კაწაწი,  
უფალს ვედრებას ჰეცამდე ვაწვდენ, -  
შენზე ლოცვით და სულის კაწკაწით...  
სამყაროს ხსენი გასვი კერტებით  
და ცალუღელამ გზარდე, ჩაუქად,  
მანამდე, მე არ დაგიბერდები,  
მზეს ერთი სხივიც თუ არ ჩაუქრა!..



## ქართველი პირები



„დარჩი სახლში!“

... და ის დარჩა შინ, რადგან კანონმორჩილია... ეშინია, სხვებს პრობლემა არ შეუქმნას...

ზის ერთოთაშიან მყუდრო ბინაში, მისმა კეთილისმყოფელმა, ამ სახლის დიასახლისმა რომ დაუტოვა დედაქალაქში და, ის მარტოხელა ქალბატონი რომ არა, რა უნდა ექნა?

როცა ახალბედა ასპირანტი, უნივერსიტეტს სხვა ღვაწლმოსილ პროფესორებთან ერთად, „ჩარეცხეს“, იძულებული გახდა, მშობლიურ სოფელში

დაბრუნებულიყო. ხანშიშესულმა მშობლებმა გულში ჩაიკრეს მონატრებული ქალიშვილი, რომელსაც თავისი დისერტაციის გარდა, არავინ და არაფერი ახსოვდა...

ბიბლიოთეკში დაიწყო მუშაობა. ეგონა, იქ შეძლებდა დისერტაციის დასრულებას თემაზე – „სიცოცხლის არსის საკითხი ჰაგიოგრაფიასა და ვაჟა ფშაველასთან“, მაგრამ იმდენი საქმე დახვდა, ვერც კი წარმოიდგენდა. ეგონა, ახალ სიტყვას იტყოდა ფილოლოგიურ მეცნიერებაში. ჰაგიოგრაფიიდან „გრიგოლ ხანძთელი“ თითქმის დამთავრებული ჰქონდა, ვაჟას სამყაროს უკეთ გასაცნობად კი ჩარგალში რამდენჯერმე ჩავიდა, სადაც მისი თანაკურსელის – ავთანდილის ოჯახიც მოინახულა... თბილად ახსოვდა მათთან სტუმრობა...

ფიქრებით ისევ თემას მიუბრუნდა. დასკვნა თითქმის მზად იყო: ადამიანის ცხოვრების აზრი უფალთან მიახლოების სურვილია. ღმერთმა ადამიანი ხომ ხატად თავისად შექმნა.

... იმხანად ხელისუფლებამ სოფლებში ბიბლიოთეკები გააუქმა და ერთადერთი ნათელი სივრცე წაართვა ახალგაზრდებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით გაიღალენ სოფლიდან. ბიბლიოთეკის ათასობით წიგნის პატრონობაც თავადვე იყისრა.

ისევ სამსახურის ძებნა დაიწყო და მისთვის მოულოდნელად, თავისივე რაიონში, სკოლაში დაიწყო მუშაობა. ეს ის პერიოდია, როცა მასწავლებლებს ხმის ამოღების უფლება არ აქვთ... დღიურში ჩანაწერი გაახსენდა და კარადიდან სხვა ფურცლებთან ერთად ისიც გადმოიღო, კითხვა დაიწყო. პირველი, რაც თვალში მოხვდა, 2011 წლის 5 იანვრის ჩანაწერია, როცა სკოლიდან გამოუშვეს:

„პირველკლასელები კომპიუტერს შემოხვევიან, შფოთავენ, ხმაურობენ, სერტიფიცირებული მასწავლებელი კი შენიშვნასაც ვერ ბედავს. იცის, კედელში დამონტაჟებული „თვალი“ გასცემს. ძალიან შეწუხებულია, რადგან წიგნის კარადიდან დიდი ხანია გამქრალია იაკობის „დედაენა“, საკლასო ოთახის ფანჯრის რაფაზე დადგმულ ქოთანში ია-იები ჩამჭკნარა... და, მაინც, მან გაბედა და ბიჭს ყური აუნია (თაგვი რომ გაუშვა კლასში და ამის გამო თანაკლასელი გოგონა გულწასული დაეცა)... ვინ აპატიებდა?! სკოლის სამეთვალყურეო საბჭოს შვიდი წევრიდან ვერავინ გაბედა კოლეგის დაცვა.“ აქაც ხელი მოეცარა... და პირველად, ამ პანდემიის დროს, ჩაფიქრდა თავის ცხოვრებაზე, სიცოცხლის არსზე, ქალის უპირველეს მოვალეობაზე – დედობრივ საწყისზე. დღემდე უკვირს, რატომ უთხრა უარი პატიოსან, გონიერ და გამორჩეულ ავთანდილს ცოლობაზე, როცა თავად იყო მასზე შეყვარებული. ბევრჯერ გახსენებია მისი სევდით საკსე, ლურჯად დაბინდული თვალები, მაგრამ რაღა დროს?!

ისევ დღიურს მიუბრუნდა და კითხვა დაიწყო:

„დიდი ხანია, დავრწმუნდი, რომ ჩვენი ყოველი ქმედება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცხოვრების გზა უნდა აირჩიო ან აუცილებელი გადაწყვეტილება მიიღო, ემორჩილება არამინიერ ძალას, რომელიც გიბიძებს (არა, არ გაიძულებს) გადადგა ნაბიჯი, ანუ შინაგანი „მე“ არ ეწინააღმდეგება ამ ძალას, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს არ იქნებოდა ღვთაებრივი ძალა, თორემ, რატომ უნდა შეეშალა

ხელი ახალგაზრდების ბედნიერებისათვის? პასუხი არ აქვს...

... იმ დღეს ვივალდის „წელიწადის“ რომ უსმენდა, თავისი ბედნიერი სტუდენტობა დაუდგა თვალწინ: ექსკურსიები, ექსპედიციები, ალპინიზაციები, ძეგლების აღდგენა, სპექტაკლები, ფილმები, ლიტერატურული საღამოები. სად არიან ახლა ის ნიჭიერი ახალგაზრდები, სად გაიფანტნენ? სადაა ავთანდილი, ნეტავ, ვახსოვარ? ამბობენ, არ დაქორწინებულა... აფსუს, რამდენ გოგოს უყვარდა!..

უცეპ წამოდგა და დიდი ხნის წინ მიტოვებულ ჩარჩოზე გადაჭიმულ ტილოს მიუბრუნდა... საყვარელი წითელი კაბა გაახსენდა, პირველ პაემაზე რომ ეცვა... ავთანდილის სილუეტიც აიღანდა მის წინ და იდეაც გაჩნდა.

დიდხანს თავაუდებლად ხატავდა. მთაწმინდის ფონზე იდგა შეყვარებულიქალ-ვაჟი, რომლებიც მზის სხივებში გაბლანდულიყვნენ... „პირველი პაემანი“ დაარქვა ნახატს... მოეწონა, მოყვარული მხატვრისთვის კარგი ნამუშევარი იყო. მერე ტელევიზორი ჩართო. ყველა ინფორმაციას გულისყურით უსმენდა.

„დარჩი სახლში“ გასდევს ყველა გადაცემას. უურნალისტი კვლავ განაგრძოს: „დღეს და ხვალ მსუბუქი ავტომობილის მძღოლებს უფლება აქვთ, მოინახულონ დედაქალაქსა და რაიონებში კარანტინში მყოფი ახლობლები!“

იქნებ, მეც მოვახერხო სოფელში წასვლა, მაგრამ როგორ? – გაიფიქრა. კარზე კაკუნი გაისმა. გაიყურსა.

– თინა! – ვიღაც ეძახდა. ნაცნობი ხმა იყო, ძალიან ნაცნობი.

– თინა! – უფრო ხმამაღლა დაიძახეს.

კარი გამოაღო.

– ავთანდილ, შენ?! – გაკვირვება ვერ დამალა თინამ.

– როგორ ხარ?! შენი და შენი მშობლების დარდი მქონდა, თინა...

მოსულს პირბადე ეკეთა, თორემ ქალი უთუოდ დაინახავდა ვაჟის სიხარულით გაბრწყინებულ სახეს.

## ჯარიმა

საღამოს ცხრა საათია. უკაცრიელია ქალაქის ქუჩები. შემაძრწუნებელი სიჩქმეა ირგვლივ. ფოთლების შრიალიც კი არ ისმის. ცა ისეა ჩამუქებული, როგორც ადამიანის გულში ჩაბუდებული სევდა... სახლებიდან გამონაშუქი თუ ქუჩებში ანთებული ნათურებიც კი უღიმღამოდ ბჟუტავს.

საღამოს ცხრიდან დილის ექვს საათამდე გარეთ ნუ გახვალთო, – კატეგორიულად აფრთხილებენ მოსახლეობას.

მეზობელი სახლიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, ქურდულად მიმოიხედა ირგვლივ და გზა განაგრძო.

– ნეტავ, სად მიდის? ახლა გასვლა შეიძლება? კომენდანტის საათია, უთუოდ დააჯარიმებენ... კაცი აჩქარებული მიაბიჯებს. გულისცემა გაუხშირდა.

– ვერავინ გავაგზავნე აფთიაქში, კიდევ კარგი, მოვიკითხე დეიდა ჟენია. – ფიქრობს თავისითვის.

მანქანა ნელი სვლით მიუახლოვდა.

– თქვენი საბუთები, ახალგაზრდავ.

– ახლავე, – დაბნეულმა პირადობის მოწმობა გაუწოდა პატრულს.

– საით მიიჩქარით, მოქალაქე ალექსანდრე?

– აფთიაქში, მეზობელს სასიცოცხლოდ აუცილებელი წამალი უნდა მივუტანო, თორემ დილამდე ვერ გაატანს.

– იცით, ჯარიმა რამდენია?

– რა თქმა უნდა, ვიცი, არც თუ ცოტა. მაგრამ რა მექნა? მიმხედავი არავინ ჰყავს.

– მერე და, სად იყავით აქამდე?

– რამდენიმე მეგობარმა ცოტაოდენი თანხა შევკრიბეთ და გაჭირვებულ ოჯახებს მივუტანეთ სურსათი... ამიტომ გვიან მოვიკითხე ავადმყოფი...

– სხვა დროს აღარ გაპატიებთ!

– დიდი მადლობა!

– ჯარიმას შენმა გულმოწყალებამ გადაგარჩინა... ახლა კი სასწრაფოდ ჩაჯეექი მანქანაში.

მანქანა უცებ მოწყდა ადგილს და უახლოეს აფთიაქთან გაჩერდა...



**დუდუნი  
ცენტრალურ-ქრისტიანულია**

\* \* \*

თუ შენი სტუმრობა არა სურთ,  
ნუ იწყენ, სჩევეიათ ათასებს.  
დღეს გველაძუების უამია დამდგარი,  
უხსნან გულსა და ულებენ დარბაზებს...  
გული არ იტკნო, მაინც ვერ ხვდებიან,  
კიდეც დაინახონ, ფეხებზე ჰქიდიათ,  
ვიღაცა მოვა და ვიღაცა გინამლებს,  
პატარა არ არის, ქვეყანა დიდია!

\* \* \*

მე ვარ საყდარი,  
უწმინდური ფეხს ვერ იკიდებს, –  
ლოცვად კვლავ ვდგები,  
სიწმინდე რომ გადამირჩინე,  
უფალო ჩემო!!!

\* \* \*

მაჩუქეთ ფრთები,  
მაჩუქეთ ლხენა,  
ტკივილებს  
ქარებს გავატან, ზენას...  
ავიწყვიტავ და, გადარეული,  
ცეცხლისმფრქვეველებს,  
ავუშვებ რაშებს...  
ზღაპრულ ფასკუნჯის  
ფრთების ტყულაშუნით  
გავინავარდებ,  
დავსერავ ზეცას,  
გაიოცებენ, გაუკვირდებათ  
ეს სილალე, ეს თავაშვება...  
მაჩუქეთ ფრთები,  
რომ გამოვკეტო  
ბოთლში ჯინები.

\* \* \*

კაცუნებს სიმდიდრე  
რად უნდათ?!

მზეს ვერ იყიდიან,  
ვერც მთვარეს,  
მიწაზე ცხოვრება გართულდა!  
კაცები ვერ ცნობენ ერთმანეთს!..  
აჩუქონ სიცოცხლე  
ავადმყოფ პატარებს,  
ერთმანეთს ლანდლავენ,  
დროს რაში კარგავენ?!  
რად უნდათ კაცუნებს  
დასტები ფულების!  
გლახაკთ უწყალობონ,  
გაუთბონ გულები...

\* \* \*

გრძნობამ სული თუ არ შეძრა  
და გული ვერ ატორტმანა,  
თუკი არ მოეფერები  
მწვანედ მოღალანე ყანას,  
მთებს, ზეცისაკენ აწვდილებს,  
სალ კლდეებს და ტყეს, შრიალას,  
ადგილის დედას, წყაროს წყალს,  
ცას ფირუზს, ღრუბლებს, რიალას,  
თუ წამლად ვერ ეფინები  
მიწის გადახსნილ იარას...  
მაშინ ფიტული ყოფილხარ,  
ადამიანი კი, არა!..

\* \* \*

თენდება,  
სინათლე გამოკრთა სარკმელში,  
ხეები მიყუჩდნენ,  
ახალ დღეს ელიან.  
რძისფერი ზენარი  
მოირგო გარემომ,  
ჩიტები ხვდებიან  
დილის მისტერიას...  
ზეცამ დაიფინა  
მკერდზე მზის სხივები,  
სიცოცხლის ზეიმი  
კვლავ მშვენიერია!

\* \* \*

ლაპა ხარივით შევისუნთქავ  
ამ მიწის სურნელს  
და დალლილ ქედზე  
სიყვარულის სანთელს ავანთებ,  
დედულ-მამულო,  
შენს სამოთხეს  
ვერვის დავუთმობ,  
შევაზანზარებ, თუ დაგჭირდა,  
ლოცვით მაღალ მთებს.  
საუკუნეთა ქარტეხილში  
რამდენს გაუძელ,  
ლალატმა ბევრჯერ  
გრიგალივით გადაგიარა...  
შენი წარსულით  
ტკივილამდე მეამაყები  
და ჩემს ძარღვებში  
ცრემლად დუღხარ,  
სისხლად კი არა!  
ჩავიმუხლები,  
მე შენს კალთას ვეამბორები,  
გულის სითბოთი მოგიმუშებ  
ყველა იარას!

### უფალო!

შენდობის ნიჭი შემარჩინე,  
მოყვრის სათანადოდ დაფასება...  
მომმადლე სიცოცხლით ტკბობის ნიჭი,  
მასწავლე სიკვდილის დამარცხება...  
ის ტრადიციები გამაყოლე,  
რაც ჩემს მამა-პაპას უზიდია,  
ქვეყანა როგორი პატარაა,  
გული კაცისა კი რა დიდია!..  
საწუთოს ტკივილი მათმენინე,  
ლხინი რა გაუსაძლისია!..  
მომმადლე ნიჭი შენდობისა,  
წარსულით, ოქროს საწმისიანს!

### მამულო

ფიქრით მივყვები ხეთა ხეივანს,  
და თუ სიცოცხლე აქ მიხარია,  
თუ ვერსად ვერ ვძლებ, ვერ შეგელევი, –  
მამულო, მხოლოდ შენი ბრალია...  
თავთუხისფერი დაედო მინდვრებს,  
ალაგ სიმინდის მწვანე ჯარია –  
აქ ტყის შრიალი, ველების სუნთქვა,  
წყაროს ჩუხჩუხი რომ მიხარია,  
მიწის სურნელი, ასე რომ მათრობს, –  
მამულო ჩემო, შენი ბრალია!!!

# 30 ც ე რ ი თ ე უ ლ ა

## ლ ი რ ი ა ს ი ა



ლადი ურუბაძე

## დილის ნატვრა

მერე რა, თუკი დაგსველდი,  
მზეზე ჩირივით გავშრები,  
ნეტავი, ამ ჩემს სამშობლოს,  
არ უკვდებოდნენ ბავშვები!..  
მერე რა, თუკი დავეცი,  
ან ვინ მომკვდარა დაცემით?  
ნეტავი, ამ ჩემს სამშობლოს  
არ უკვდებოდნენ კაცები!..  
ლალი ჭიკჭიკით ფრინავდნენ,  
მერცხლები ფრთებგაშლილები,  
ნეტავი, ამ ჩემს სამშობლოს,  
არ ლალატობდნენ შ ვ ი ლ ე ბ ი !..

## დიდგორი

ეს მინდორი განა მარტო მინდორია, –  
დიდგორია, საოცნებო დიდგორია.  
როგორც თეგზი თავს ვერ აღწევს ფაცერიდან,  
აქ „ძლევაი საკვირველი“ დაწერილა.  
აქ გიორგი, თეთრი ცხენით მოფრენილა  
და ურიცხვი მტერი ველზე მოფენილა...  
მთის არწივებს დაუკოდავთ ყორნები და,  
გამარჯვებას ალარ დაუყოვნებია.  
მომდგარან და მტრის თავები უნაყიათ,  
ხმალს, დაღვარჭნილს თვით ქარქაში უარყვია!..  
მეფეთ-მეფეს ჩაუხერგავს შუკები და  
მზე წვეთავდა, თურმე, ქართველთ შუბებიდან...  
ვერ გაიგეს – რა ცხადია, რა მითია,  
კაცია თუ ღვთაებრივი დავითია!..  
აქ ფარ-შუბი, ხმალ-ხანჯალი გვილესია,  
აქ ქართველთა გვერდით მდგარა თვით მესია!..  
ეს მინდორი განა მარტო მინდორია, –  
დიდგორია, საკვირველი დიდგორია...

## წყეულიმც იყოს

სირცხვილით იწვის მინა გარნისის  
და მსურს, ხსოვნიდან ის დღე ავცელო,  
ხარ მოღალატე სამარადისოდ,  
დაწყევლილი ხარ ჩემგან, მხარგრძელო!..  
ეს, ღმერთმა ნუ ქნას, ვიტყვი მეასედ,  
არწივი დარჩეს ყორანს ვალში რომ,  
დაწყევლილი ხარ ჩემგან, იასე,  
დაწყევლილი ხარ, ყორღანაშვილო!..  
გერჩიოს ჭამო მწარე იელი,  
გერჩიოს სულაც გიუის ხალათი,  
ბედნიერია ძეხორციელი,  
ვინაც არ იცის ძმების ლალატი!..

## ჩემი ლოცვა

ვლოცავ საქართველოს,  
ჩემს კუთხეს და სოფელს,  
ვლოცავ ჩემს ქართველებს,  
გიუს და ჭეუათმყოფელს;  
ვლოცავ მოკეთებს,  
მომტერეთაც ვერ ვთმობ,  
ჩემი საქართველო  
გამიბრწყინე, ლმერთო!..

## ჩემი კახეთი

თოვლიანი ცივგომბორი,  
ასაფრენი ალავერდი,  
აქ სილნალი, იქით წნორი,  
ქეთევანის წმინდა მკერდი...  
თელავი და წინანდალი,  
იყალთო და გრემ-ქალაქი,  
ის ინგილო, ცელქი ქალი,  
აქ ერეკლეს სული დაქრის...  
აქ მგლის ლეკვებს გახედნიან,  
ჩანს შუამთის შესახედი,  
ეს ილიას კახეთია  
და ჩემია ეს კახეთი!..



18 წლის ხაშურელი ლიზა  
ნეფარიძე თბილისის სახელმწიფო  
სასწავლებლის ეკონომიკის  
ფაკულტეტის პირველი კურსის  
სტუდენტია. წიგნების კითხვა  
ყველაფერზე მეტად უყვარს.  
ემოციების, ნაფიქრისადაგანცდილის  
ლიად გამოხატვას ჩანახატებში  
გადმოცემას ამჯობინებს.

## მე და ლამე

...და ახლა, სწორედ ახლა, როდესაც მთელ მსოფლიოს ძინავს და  
ტკბილ სიზმრებს ხედავს, მე, ლამის გუშაგი ვფხიზლობ და ყურს  
უვადებ სიჩუმეს, რომლის ტკივილი, კვნესა, გოდება მხოლოდ მე  
მესმის, მხოლოდ ჩემს სულს ეხმიანება... სიბნელეს ვაყურადებ და  
ვევდები, რომ მთელი ჩემი არსება შავი ფერითაა შემოსილი, რომელიც  
იძულებულს მხდის, სამყაროც ასეთ ფერებში დავინახო...

უკვე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ვარდისფერი სათვალე  
მოულოდნელად დავკარგე... სწორედ მაშინ გავაცნობიერე პირველად,  
რომ მე სხვებს არ ვგავარ, მე – მე ვარ, რომლის ფიქრები დღისითაც  
ღამისკენაა მიპყრობილი... ადამიანი, რომელიც ელოდება ღამეს, რომ  
იყოს რეალური, უბრალოდ, „თინერერი“ ბიჭი, რომლის განცდებზეც  
ღამემ ითამაშა... ჩემს სულს ჩასწვდა ძალიან ღრმად, შეეხო კიდეც.  
ღამე ჩემი ერთადერთი მეგობარი გახდა. ყველაზე რთულ დროს ჩემს  
გვერდით იყო, არის და ვიმედოვნებ, იქნება იქამდე, სანამ სუნთქვა  
შემეძლება...

ღამე არ გაქცეულა, როგორც ეს ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე,  
უსმენდა ახალგაზრდას ფერმერთალი სახითა და ჩამქრალი თვალებით.  
მხოლოდ ღამემ იცოდა, რომ ეს ზღვისფერი თვალები აღარასოდეს  
იკაშკაშებდნენ, რომ შეიძლებოდა ისინი სრულიად მოულოდნელად  
დაეკარგა, რომლებმაც ერთ დროს მოხიბლა და მასში ჩაძირა.

ამბობენ, თვალები ადამიანის სულის სარკეაო... განა  
შესაძლებელია, ღამეს საკუთარი ანარეკლი დაენახა ჩემს თვალებში?  
მე, ლამის გუშაგი, რომელმაც ამაოების ბაზარში საკუთარი დახლი  
ვერ ვიპოვე, – დავიკარგე!. გზაბნეულმა, ფიქრებაშლილმა ღამეს  
შევაფარე თავი... ღამით გავიგე ყველაფერი და მივხვდი, რომ წუხილი  
წუხილად რჩება, მაშინაც კი, თუ გათენების იმედი გაქვს... დღე  
ყველაზე ყალბი რამ არის მათ შორის, რაც მინახავს... დღე გვაიძულებს  
გავიღიმოთ, შინაგანი მე საგულდაგულოდ გამოვკეტოთ და სოციუმს  
მოვერგოთ მაქსიმალურად... დღეს – ისევე როგორც სიცოცხლეს,  
არ მოაქს სიახლე და არც სიკვდილია ახალი ამ საწუთოში...  
ძალაგამოცლილი, გულგატებილი და სისხლის ცრემლებით ნატირები  
მივდივარ ქარაფზე, რომლის დასასრულიც ისევე ახლოსაა, როგორც  
ჩემი ცხოვრების... უკანასკნელ ნაბიჯებს ვდგამ ეკლიან ბილიკზე და  
ვიცი, სიბნელეც ჩემთან ერთად დასრულდება...

და, როგორც იქნა, მივაღწიე დანიშნულების წერტილს... ღრმად  
ვსუნთქავ... არაფერზე ვფიქრობ... ერთი ნაბიჯიც და ყველაფერი  
დასრულდება... მაგრამ რაღაც, ამოუცნობი ძალა, უხილავი ხელი  
მაყვნებს... ყურში ჩამესმის ხმა, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს  
– დედის ხმა, რომელიც ჯერ გაურკველად, შემდეგ კი მკაფიოდ  
მეუბნება, რომ... სიცოცხლე სწორედ მაშინ იწყება, როცა სიკვდილის  
გარდაუვალობას გავიაზრებ!

ადგილზე გაშეშებული შეშლილივით დავეძებ დედას, რომლის  
ხმაც ჯერ კიდევ ჩამესმის...

ერთი წამი იყო ის, გარდამტეხი მომენტი ჩემსა და სიკვდილს  
შორს... ერთი წამი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა... წამი, როცა  
გავიაზრე, რომ საყვარელი ადამიანების მიტოვება უპატიებელი  
ცოდვაა, რომე მე მხოლოდ ღამის გუშაგი არ ვარ...